

**-ეთ და -ის აფიქსიზიანი ტოპონიმთაგან სადაუროების  
სახელთა წარმოშობასთან დაკავშირებული საკითხები**

ქართულში სადაურობის სახელი იწარმოება ტოპონიმზე **-ელ-**  
**-ურ** აფიქსების დართვით: ქართლ-ი — ქართლ-ელ-ი, ქართლ-ურ-ი;  
გორ-ი — გორ-ელ-ი, გორ-ულ-ი; ფშავ-ი — ფშავ-ელ-ი, ფშა-ურ-ი...

ასე იყო ეს ძველ ქართულშიც. ცნობილია, მაგალითად, რომ სა-  
დაურობის სახელებს წარმოადგენდნენ ძველი ქართული ფეოდალუ-  
რი გვარები, რომლებიც იქმნებოდა ფეოდალის რეზიდენციის, მა-  
მულის სახელწოდების მიხედვით. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ  
„ჩაყელი, გაგელი, თორელი, ახალციხელი, თმოგველი, ხერთვისარი,  
გურკლელი — ჩაყის, გაგის, თორის, ახალციხის, თმოგვის, გურკა-  
ლის მემამულეთა გვარებია“<sup>1</sup>.

ასეა სხვაც ბევრი ფეოდალური გვარი, წარმომობილი მამულის  
სახელწოდებიდან; მაგ.: ჩორჩან-ელ-ი (←ჩორჩან-ი), მანავ-ელ-ი  
(←მანავ-ი), ქვეშ-ელ-ი (←ქვეშ-ი), ტოლოშ-ელ-ი (←ტოლოშ-ი),  
ტბ-ელ-ი (←ტბ-ეთ-ი), ღობი-არ-ი (←ღობი-ეთ-ი), ხერთვის-არ-ი  
(←ხერთვის-ი) და სხვ.

ესენი წარმომავლობის სახელებია, ამ ფეოდალთა წარმომავ-  
ლობის ადგილი მათივე მამული იყო. მაგ.: თორელი იყო თორის  
მფლობელი, მისივე მკვიდრი, მემამულე. ასეთი სახელები ყოველ-  
თვის მამულის ფლობას როდი გულისხმობდა, ხშირად მხოლოდ წარ-  
მომავლობას, სადაურობას აღნიშნავდა. მაგ., აბო ტფილელი ტფი-  
ლისელია და არა ტფილისის მფლობელი. ამგვარადვე იშხნელი ნიშ-  
ნავს იშხნის მცხოვრებს, ვარძიელი — ვარძიის მკვიდრს და ა. შ.

საერთო გვარსახელებისა და გვარწოდებების მსგავსად იწარ-  
მოებოდა სასულიერო ზედწოდებანიც. მაგალითად, მანგლისის

<sup>1</sup> ნ. შოშიაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობაზე ახალი თვალ-  
საზრისის შესახებ, „მნათობი“, № 11, 1969, გვ. 110.

ეპარქიის მეთაურს ეწოდებოდა **მანგლელი**, თბილისის ეპარქიის მეთაურს — **თბილელი**, ურბნისისას — **ურბნელი**, კუმურდოსას — **კუმურდოელი**, ბოდბისას — **ბოდბელი**, ნეკრესისას — **ნეკრესელი**, რუისისას — **მროველი**, რუსთავისას — **რუსთველი**, კარისას — **კარელი**, ნიკორწმინდისას — **ნიკორწმინდელი**, ერუშეთისას — **ერუშნელი**, წინწყაროსას — **წინწყაროელი** და სხვ.

ე. ი. სადაურობის სახელი (ფეოდალური გვარი) და ასევე სასულიერო ზედწოდება იწარმოებოდა გეოგრაფიულ სახელზე სადაურობის მაწარმოებელ აფიქსთა დართვით.

ასე, სადაურობის აღნიშვნაზე დაყრდნობითაა მიღებული თანამედროვე ქართულში გავრცელებული გვარები, ზოგი ძველთაგან შემორჩენილი, ზოგიც ახლად გაკეთებული:

თუხარისი→თუხარელ-ი	ირგვეთი→მარგველ-ი, მარგველაშვილი
აჩაბეთი→მაჩაბელ-ი	თიანეთი→თიანელ-ი, თიანელაშვილი
ყანჩაეთი→ყანჩაველ-ი	ოძისი→ოძელ-ი, ოძელაშვილი
ამაშუკეთი→ამაშუკელ-ი	ტბეთი→ტბელ-ი, ტბელიძე
ქსოვრისი→ქსოვრელ-ი	ზანდუკი→ზანდუკელ-ი
ერთისი→ერთელ-ი	წერეთი→წერეთელი...

ამავე წესითაა გაკეთებული ფსევდონიმები:

არადეთი→არადელი
ქორეთი→ქორელი
ზომლეთი→ზომლეთელი
გორისა→გორისელი...

თანამედროვე ქართულშიც სადაურობის სახელები ძირითადად ასევე იწარმოება, — ტოპონიმს ემატება **-ელ**, **-ურ** აფიქსი. ოღონდ ყურადღებას იქცევს ერთი გჯუფი სახელებისა, რომელნიც პარალელურ ფორმებს გვიჩვენებენ.

ასეთი პარალელური ფორმები შესაძლებელია **-ეთ** და **-ის** აფიქსებიანი ტოპონიმებისაგან სადაურობის სახელთა წარმოებისას, გვაქვს:

ღუმ-ელ-ი	და	ღუმ-ეთ-ელ-ი
კარალ-ელ-ი	და	კარალ-ეთ-ელ-ი
ბოლნ-ელ-ი	და	ბოლნ-ის-ელ-ი
ნიჩბ-ელ-ი	და	ნიჩბ-ის-ელ-ი
ქუთათ-ელ-ი	და	ქუთა-ის-ელ-ი

თიან-ელ-ი და თიან-ეთ-ელ-ი  
 კაკაბ-ელ-ი და კაკაბ-ეთ-ელ-ი  
 კაკაბ-ურ-ი და კაკაბ-ეთ-ურ-ი  
 წავკ-ელ-ი და წავკ-ის-ელ-ი  
 სიმონ-ელ-ი და სიმონ-ეთ-ელ-ი...

ამ წყვილ-წყვილ ფორმას ქმნის საწარმოებელ ფუძეთა სხვაობა: ერთ შემთხვევაში სადაურობის სახელის საწარმოებლად აღებულია -ეთ ან -ის აფიქსიანი ფუძე (კაკაბ-ეთ-ელ-ი, წავკ-ის-ელ-ი), მეორე შემთხვევაში კი ფუძე ამ აფიქსის გარეშე (კაკაბ-ელ-ი, წავკ-ელ-ი).

-ეთ სუფიქსს, როგორც გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელს, გვერდში უდგას თ თანხმოვნის შემცველი რამდენიმე სუფიქსი: -ათ, -ით, -ოთ, -უთ, -თა; -ის აფიქსი კი თითქოს უფრო განცალკევებით დგას<sup>2</sup>. -თ-ანიანი სუფიქსებით წარმოება საკმაოდ პროდუქტიულია, ასე მაგალითად:

- ეთ ალგ-ეთ-ი, არად-ეთ-ი, არგვ-ეთ-ი, არაბ-ეთ-ი, გომარ-ეთ-ი, დუშ-ეთ-ი, ენაგ-ეთ-ი, ერკნ-ეთ-ი, ერუშ-ეთ-ი, ზომლ-ეთ-ი, თელ-ეთ-ი, თიან-ეთ-ი, თრიალ-ეთ-ი, კაკაბ-ეთ-ი, კარალ-ეთ-ი, ოზურგ-ეთ-ი, ნიგოზ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი, ყანჩა-ეთ-ი, ბახალ-ეთ-ი, მორძგვ-ეთ-ი, ბი-ეთ-ი, კვერნ-ეთ-ი...
- ათ გელ-ათ-ი, გორ-ათ-ი, გეზ-ათ-ი, გუმ-ათ-ი, გრიგალ-ათ-ი, თეკლ-ათ-ი, თელ-ათ-ი, მამ-ათ-ი, მუხ-ათ-ი, რცხილ-ათ-ი, ქინძ-ათ-ი, ცუცხვ-ათ-ი, ჩოჩხ-ათ-ი, ჯგილ-ათ-ი...
- ით: ბაჯ-ით-ი, ბორ-ით-ი, ისრ-ით-ი, კვალ-ით-ი, მოლ-ით-ი, ნიგო-ით-ი, ოფშკვ-ით-ი, როკ-ით-ი, სხლ-ით-ი, ღვანკ-ით-ი, ძიმ-ით-ი, ხე-ით-ი, ხრე-ით-ი, ქვა-ით-ი, ხორ-ით-ი, ჯიმ-ით-ი, ხე-ით-ი...
- ოთ: ბაბ-ოთ-ი, ამ-ოთ-ი, იკ-ოთ-ი, თხ-ოთ-ი, კონ-ოთ-ი, რიკ-ოთ-ი, რუფ-ოთ-ი, ტოლ-ოთ-ი, ხე-ოთ-ი...
- უთ: გეგ-უთ-ი, ლანჩხ-უთ-ი, კვაცხ-უთ-ი, უხ-უთ-ი, შუქრ-უთ-ი, შუხ-უთ-ი, წყა-უთ-ი, ქაქ-უთ-ი, ქილ-უთ-ი, ხურ-უთ-ი...
- თა: ბერ-თა, ბუჩუკურ-თა, გოგოლაურ-თა, გომარ-თა, გურიან-თა, დვალ-თა, ილურ-თა, ველ-თა, კავ-თა, კალო-თა, მოწამე-თა, ქორ-თა, ყორან-თა, ყველ-თა, ღარ-თა, ჩნიკვ-თა, სხალ-თა, ბოსელ-თა, მაჩვ-თა, ხანძ-თა, იკორ-თა, წყარო-თა, ჯალაურ-თა, გულოვან-თა.

<sup>2</sup> ვაშბოზთ „თითქოს“, რადგან შესაძლოა მას გჭირდით ამოუდგეს -ეს (ნეკრ-ეს-ი, დო-ეს-ი), -ოს (ვეირ-ოს-ი), -ხა (თავა-ხა, ბერეთი-ხა)... აფიქსები.

თ თანხმობის შემცველ აფიქსთა შესახებ მრავალ მკვლევარს გამოუთქვამს აზრი (ვ. პანი, ჰიუბშმანი, მიულერი, მ. ჯანაშვილი, ნ. მარი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ს. ჯანაშია, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, თ. ზურაბიშვილი და სხვ.).

მკვლევართა ნაწილი განიხილავს ერთ რომელსამე აფიქსს, ნაწილი კი — ყველას ერთად აღებულს. უმეტესობა ფიქრობს, რომ თ სიმრავლის აღმნიშვნელია და ამ აფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი რისამე მრავლად მყოფობის ადგილს აღნიშნავს. რაც შეეხება ხმოვანს, რომელიც თ-ს წინ უძღვის, იგი ზოგს აფიქსის კუთვნილებად მიაჩნია, ზოგს კი არა: ფუძისეულია ან ჩანართიაო.

1. -თა სუფიქსი, ზოგი მკვლევარის აზრით, არა ქართული აფიქსი: ნ. მარი მას აფხაზურიდან მომდინარედ თვლიდა, მიულერი და ჰიუბშმანი — სკვითურიდან. ვ. გამბეგელის აზრით, -თა ქისტური თანღებულია და უდრის -ზე-ს: გუფ-თა = ბორცვ-ზე, გორაკ-ზე<sup>3</sup>.

-თა სუფიქსის უცხოური წარმოშობის საპირისპირო მოსაზრება ეკუთვნის ვ. თოფურიას. მისი აზრით, -თა ქართული აფიქსია, კერძოდ, იგი წარმოშობით მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია. სახელი, რომელიც დღეს ამ სუფიქსით იხმარება, ოდესღაც ნათესაობითი დასმული მსაზღვრელი ყოფილა (წდრ.: ზაქათარი, ლაკათხევი, ქვაბთახევი, ერთი მხრივ, და ლამის-ყანა, გუბისწყალი..., მეორე მხრივ). ამ სახელებთან საზღვრული, ჩვეულებრივ, გარკვეული სიტყვები გამოიყენებოდა: სოფელი, ქვეყანა, ყანა. დროთა ვითარებაში ეს საზღვრული სახელი ჩამოშორდა და -თა სუფიქსმა თანდითან იკისრა ადგილის სახელთა სუფიქსის ფუნქციას<sup>4</sup>.

ამავე აზრისაა ა. შანიძეც: -თა მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია. ამ ფორმანტით ვაფორმებულ სახელს რაღაც საზღვრულიც ახლდა, მაგრამ დაკარგულა და ამიტომ მსაზღვრელს მიუღია ახალი მნიშვნელობა<sup>5</sup>.

2. -ეთ სუფიქსს ნ. მარი სიმრავლის მაჩვენებლად მიიჩნევდა<sup>6</sup>. ა. ჩიქობავა არსებითად მართებულად თვლის ამ მოსაზრებას (-ეთ სუფიქსი რისამე ანვისამე მრავლად მყოფობის ადგილს აღნიშნავს) და -ეთ-ს უკავშირებს მრავლობითას -თა სუფიქსს<sup>7</sup>.

<sup>3</sup> ვ. გამბეგელი, დვალეთის ტოპონიმების ანალიზისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. I, 1958, გვ. 60-61.

<sup>4</sup> ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში: „ჩვენი შეცნობა“, № 11-12, ტფილისი, 1924. ხელახლა დაიბეჭდა კრებულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. I, 1956.

<sup>5</sup> ა. შანიძე, -ვე კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში: აკად. მოამბე, III, № 8, 1941. აგრეთვე: ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 115.

<sup>6</sup> Н. Я. Марр, История термина «авах», Изв. АН, 1912.

<sup>7</sup> ა. ჩიქობავა, \*ონ სუფიქსი მეგრულში, ტფ. უნ. მოამბე, VI, 1916, გვ. 306.

ამ ბოლო ხანს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XIX ტომში გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას სტატია: „ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში“, სადაც ავტორი განიხილავს ტოპონიმთა სამი ტიპის მაწარმოებლებს (-ეთ, სა- -ეთ; სა- -ე) და გამოთვამს მოსაზრებას, რომ ამათგან უძველესი უნდა იყოს სა- -ეთ წარმოება (სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-ყოჩაღ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი...; შდრ. მეგრ. ო- -ეთ; ო-შურ-ეთ-ი — სულ-ეთ-ი); სადაც სა- თავსართი ნივთის კატეგორიას მიუთითებდა, ხოლო -ეთ (= -ედ = -იან, -ოვან) — რისამე მქონეობას. ნივთის კატეგორია პოიზალა ქართულში, ამიტომ სა- თავსართი უფუნქციო აღმოჩნდა და დაიკარგა; დაგერსა -ეთ — რისამე მქონეობაზე მანიშნებელი აფიქსი (ტბ-ეთ-ი — ტბიანი ადგილი, კლდე-ეთ-ი — კლდეებიანი, ხვან-ეთ-ი — ხვანოსახლეობიანი, მკედრ-ეთ-ი — „მკვდურ-ბიანი“... შდრ. კარვ-ედ-ი — კარვიანი ადგილი, ყურ-ედ-ი — ყურიანი, სამკუთხ-ედ-ი — სამკუთხიანი).

რაც შეეხება სა- -ე წარმოებას, სა- კლასიკატეგორიის ნიშანმა აქ ახალი ფუნქცია გაიჩინა — რისამე ადგილის თუ დანიშნულების აღნიშვნისა (სა-მცხ-ე, სა-ნიორ-ე, სა-ქათმ-ე...) და ასეთი დეცტიმოლოგიზაციის შედეგად ეს აფიქსი შე-მოკვარჩა.

გ. დონდუას აზრით, -ეთ სუფიქსი აღამიანთა საკუთარი სახელებისაგან გვარ-სახელებს აწარმოებდა. იგი სიმრავლეს, კრებითობას გამოხატავს (ლიპარიტ-ეთ — ლიპარიტის შთამომავალი, ლიპარიტ-ეთ-ი — ლიპარიტის ძეთა მამული)<sup>8</sup>.

ა. შანიძე წერს: „-ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახე-ლებში“ იხილავს თ თანხმოვნის შემდეგელ აფიქსებს და -ეთ აფიქსის შესახებ შე-ნიშნავს: „-ეთ-ი გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად აქცა საზოგადოდ ქარ-თულში“<sup>9</sup>.

„ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ კიდევ უფრო კატეგორიულადაა გა-მოთქმული ეს აზრი: „საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად მოიძო-ვება სუფიქსი -ეთ, რომლის ვარიანტია -ით. ეს -ეთ შეიძლება გაძლიერებულ იქნეს დანიშნულების პრეფიქსით — სა-ეთ“... „ეს სუფიქსი არის ჩვეულებრივი და ყველაზე გავრცელებული სახე გეოგრაფიულ სახელთა საკუთარი მაწარმოებლისა, ის უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელთა ფუძეს“<sup>10</sup>.

3. თ-ს შემდეგელი შესამე სუფიქსი -ათ ა. შანიძის მიერ -ეთ-ის ზანურ შესა-ტყვისადაა მიჩნეული<sup>11</sup>, სამეგრელოში მართლაც ბევრი ტოპონიმი ამ აფიქსით ნაწარმოები (უშაფ-ათ-ი, კახ-ათ-ი, ზან-ათ-ი...), მაგრამ, როგორც თვითონ ა. შა-ნიძე შენიშნავს, არანაკლებია ამ აფიქსით წარმოქმნილი სახელები საქართველოს ტერიტორიაზე სამეგრელოს აღმოსავლეთითაც (ქინძ-ათ-ი, თელ-ათ-ი, მამ-ათ-ი, ჩოჩხ-ათ-ი, ცუცხვ-ათ-ი...).

4. -ით ფორმანტის შესახებ ავრთვევ ა. შანიძეს აქვს გამოთქმული აზრი. მკვლევარი ი-ს წარმომავლობაზე მსჯელობს და მას, ზოგ შემთხვევაში მიიხს, ფუ-ძის კუთვნილებად თვლის. იგი წერს: „საგანგებო კვლევას მოითხოვს საკითხი იმის

<sup>8</sup> გ. დონდუა, ლიპარიტეთ-ისა და სხვა ანალოგიურ ფორმათა გვარსახე-ლებისათვის: ქართულ ისტორიულ წყაროებში. „სისტორიო ძიებანი“, I, თბილი-სი, 1967, გვ.101-140.

<sup>9</sup> ა. შანიძე, -ევ კილოს კვალი..., გვ. 762.

<sup>10</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 140.

<sup>11</sup> ა. შანიძე, -ევ კილოს კვალი..., გვ. 762.

შესახებ, თუ რა წარმოშობისაა -ი-ით-ზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებში, როგორცია: როყ-ით-ი, ღვანყ-ით-ი, ხრე-ით-ი, მოლ-ით-ი... ცხადია, რომ აქ, ზოგან მიანც, ფუძისეული ხმოვანი უნდა ვიგულოთ, ხმოვანი, რომელიც ი დეტრ-მინანტის სახელობით ბრუნვაზე შეზრდისა და ბრუნვის დაბოლოებად ქცევის შემდეგ სახელობითი ბრუნვის ნიშნად უნდა ყოფილიყო გაგებული<sup>12</sup>.

„ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ კი სხვა აზრია გატარებული. აქ ავტორს -ით დამოუკიდებელ სუფიქსად კი არ მიაჩნია, არამედ -ეთ-ის ვარიანტად: „-ით გვხვდება როგორც ვარიანტი -ეთ-ისა რამდენიმე სოფლის სახელში: ღვანყ-ით-ი, როყ-ით-ი, მოლ-ით-ი, ბედლ-ით-ი, ხრე-ით-ი და სხვ.“<sup>13</sup>.

5. -ით სუფიქსს ნ. მარბი ძველი ქართულის -ეთ სუფიქსის დიალექტურ ეკვივალენტად მიიჩნევდა<sup>14</sup>.

ს. ჯანაშია წინააღმდეგია იმისა, რომ თ-ანიანი სუფიქსები დიალექტურ ვარიაციებად ჩაითვალოს, რადგანაც გაუგებარი და აუხსნელი დარჩებოდა, თუ რატომ აისახა დიალექტური თავისებურება მხოლოდ ხმოვნებში; გარდა ამისა, ამ აფიქსებით ნაწარმოებ სიხელთა „გავრცელება სრულიად არ უდგება ქართველური ენების ხმოვანთა შესატყვისობის მიღებულ სქემას (ა ქართულისათვის, რაზე მგვრულისათვის, ე სვანურისათვის და სხვ.)“<sup>15</sup>.

6. -ით აფიქსს ა. შანიძე განიხილავს, როგორც ფუძისეულ უ ხმოვანზე თ აფიქსის დართვის შედეგს: „თუ ფუძისეულ ე და ა ხმოვანზე თ-ს დართვა -ეთ და -ათ-ს გვაძლევს, სამაგიეროდ ფუძისეულ რ-ზე და უ-ზე იმავე აფიქსების დართვის საშუალებით გვექნება -რთ და -უთ: ბობრთ-ი, ბოლოთ-ი, გეგუთ-ი, შუხუთ-ი, ლანჩუთ-ი, უხუთ-ი და სხვ.“<sup>16</sup>.

ს. ჯანაშიას აზრითაც -უთი დაბოლოება იშლება: -უთი და მიღებულია ფუძისეულ -უ-სა და -თი დაბოლოების შეერთებით, ისევე, როგორც -რთი ფუძისეულ რ-ზე თი-ს დამატებით: „რთი (საუქრებელია, რომ რ უმეტეს შემთხვევაში ფუძისეულია, რ და უ ინფიქსები ერთმანეთის ბგერნიაცვლებს წარმოადგენს, შდრ.: ფრთი//ფრთი)... -უთი (ცმბრობა წინამორბედ ჯგუფს, ზოგჯერ შესაძლოა უ უმარცვლო უ-ს განეთარებვას წარმოადგენდეს)“. მაგალითებად დასახელებულია: ფუთი, ლანჩუთი, ქაქუთი, გეგუთი, თაგუთი, ქედუთი, კილუთი, უცუთი და სხვ.<sup>17</sup>.

გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი ეს ექესი აფიქსი (-ათ, -ეთ, -ით, -ოთ, -უთ, -თა) ს. ჯანაშიას ერთ -თა/-თ აფიქსამდე დაჰყავს. ხმოვნითი ელემენტი მას აფიქსის კუთვნილებად არ მიაჩნია: ან ფუძისაა, ან ჩანართთაო. ამიტომ ამ აფიქსთა შორის განსხვავებაც აღარაა, — გვრჩება თ თანხმოვანი, რომელიც, მკვლევრის აზრით, აწარმოებს მრავლობით რიცხვს, გვარსახელებსა და გეოგრაფიულ სახელებს. გამოიყენება იგი არა მხოლოდ ირიბ ბრუნვებში, არამედ სახელობითშიც; ამიტომ მისი ნათესაობითას ფორმანტად გამოცხადება არაა მართებულიო. ეს (-თა/-ო)

12 ა. შანიძე, -ევ კილოს კვალი..., გვ. 762.

13 ა. შანიძე, საფუძვლები, გვ. 140.

14 ნ. მარბი, История термина „абхаз“, Изв. АН, 1912, გვ. 703.

15 ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის. შრომები, ტ. III, 145.

16 ა. შანიძე, -ევ კილოს კვალი..., გვ. 763.

17 ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

აფიქსი ს, ჭანაშიას არ მიაჩნია მხოლოდ ჭირთულ აფიქსად, პარალელს უძებნის ჭანურსა, აფხაზურსა, ოსურსა და სომხურში და ფიქრობს, რომ ეს აფიქსი მომდინარეობს რაღაც თავისთავადი სიტყვისაგან (მდრ.: მეგრული თი=ოჯახი, სახლი, სახლ-კარი)<sup>18</sup>.

ამ აფიქსთა ხმოვნის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში სხვაგვარი მოსაზრებაც არსებობს: ა. ჩიქობავა - ეთ აფიქსს უკავშირებს მრავლობითი რიცხვის -თ(ა) ნიშანს და ფიქრობს, რომ შესაძლოა არსებითი კავშირი ვიგულოთ წყვილულ სუფიქსებს შორის: -ენ — -ნ, -ეთ — -თ და ვარაუდობს, რომ -ნ/-თ სუფიქსებთანაც თავდაპირველად ხმოვანი უნდა გვქონოდა<sup>19</sup>.

ა. შანიძე, როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ ამ ხმოვნებს, სრულიად გარკვევით, ფუძისებულად მიიჩნევს, მაგრამ ზოგჯერ ასე ამჟღავნებს ადარ აქვს განვითარებული ეს აზრი. მაგალითად, წერილში „-ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში“ იგი წერს: „ხემოაღნიშნული წარმოების სახელებში (იგულისხმება ხხაღთა, ჩხიკვათა, ვოგოლაურთა... ტიპის სახელები — ლ. ლ.) დაბოლოვებად გვაქვს -თა, მაგრამ მოგვეპოვება მართა -თანიახი დაბოლოვებაც, რომელსაც სახელობითში -ი ერთვის. ამ თ-ს წინ უძღვის ხმოვნები, რის გამოც მიღებულია -ეთ-ი, -ათ-ი, -ოთ-ი და -უთ-ი“<sup>20</sup>. რა ხმოვნებია ეს ხმოვნები, ამაზე მსჯელობა არაა.

ამგვარად, ზემომოყვანილი მოსაზრებები ამ აფიქსთა გენეზისისა და ურთიერთმიმართების შესახებ ძირითადად თითქოს ეთანხმება ერთმანეთს: თ მრავლობითობის მაჩვენებელი აფიქსია, რისამე ან ვისამე მრავლად მყოფობის აღგილს აღნიშნავს. რაც შეეხება ხმოვნებს, ზოგი მკვლევარის აზრით, ხმოვანი არაა ძირითადი ელემენტი ამ აფიქსისა, იგი ან ფუძის კუთვნილებაა, ან ჩანართია, ზოგი მკვლევარის აზრით კი ხმოვანი აფიქსისეულია.

სიმრავლის გაგება მართლაც ახლავს ამ აფიქსებით ნაწარმოებ ბევრ სახელს.

თ-ანიახი აფიქსებით ნაწარმოებ ბევრ გეოგრაფიულ სახელს საფუძვლად უძეგს:

1. მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა ან სხვა საგანთა სახელები:

თელ-ეთ-ი, ნიგოზ-ეთ-ი, ბი-ეთ-ი, ბჟოლი-ეთ-ი, პიმპილ-ეთ-ი, შამბი-ეთ-ი, წკნელ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი, ყანჩა-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, კაკაბ-ეთ-ი, ბუ-ეთ-ი, ბატ-ეთ-ი, კვერნ-ეთ-ი, გველ-ეთ-ი, მშველი-ეთ-ი, საცხენ-ეთ-ი, სასირ-ეთ-ი, კლდე-ეთ-ი, ტბ-ეთ-ი, გორ-ეთ-ი, რიყ-

<sup>18</sup> იქვე, გვ. 152.

<sup>19</sup> ა. ჩიქობავა, ონ სუფიქსი მეგრულში: ტფილისის უნ. მოამბე, VI, 1926, გვ. 308-309.

<sup>20</sup> ა. შანიძე, -ევ კილოს კვალი..., გვ. 762.

ეთ-ი, თონ-ეთ-ი, რუ-ეთ-ი, გზ-ეთ-ი, ჯვარ-ეთ-ი, გუნდა-ეთ-ი, გუ-  
ჯარ-ეთ-ი, ზვარ-ეთ-ი, სარკინ-ეთ-ი, მძოვრ-ეთ-ი, წერაქვ-ეთ-ი, სულ-  
ეთ-ი...

მუხ-ათ-ი, ქინძ-ათ-ი, რცხილ-ათ-ი...

მთლ-ით-ი, სხლ-ით-ი, ხე-ით-ი, ქვა-ით-ი...

ხე-თა, წყარ-ოთ-ა, კალ-ოთ-ა, ბოსელ-თა, მოწამე-თა, ჭერ-თა,  
ღარ-თა, ჩხიკვ-თა, ქორ-თა, ყორან-თა...

2. ადამიანთა საკუთარი სახელები და გვარსახელები:

სქვიმონ-ეთ-ი, კვირიკ-ეთ-ი, გოგი-ეთ-ი, ლიპარიტ-ეთ-ი, და-  
დიან-ეთ-ი, ჭავთარ-ეთ-ი, კიკნაველ-ეთ-ი, მუჭირ-ეთ-ი, ბუკლულ-ეთ-ი  
(←ბუკლულაშვილები), მიგრიაულ-თა, ბუჩუკურ-თა, ცაბაურ-თა,  
გოგოლაურ-თა...

3. ამ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხის, ტომის, გვარის სახელები.  
ასეთი სახელები წარმოების მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა:

ა. -ეთ-იან გეოგრაფიულ სახელს შეესაბამება უაფიქსო ეთნი-  
კური სახელი:

თუშ-ეთ-ი — თუშ-ი	თურქ-ეთ-ი — თურქ-ი
სვან-ეთ-ი — სვან-ი	რუს-ეთ-ი — რუს-ი
ჭან-ეთ-ი — ჭან-ი	არაბ-ეთ-ი — არაბ-ი
ხევსურ-ეთ-ი — ხევსურ-ი	თურქმენ-ეთ-ი — თურქმენ-ი...

ბ. -ეთ-იან გეოგრაფიულ სახელს შეესაბამება -ელ აფიქსიანი  
ეთნიკური სახელი:

ესპან-ეთ-ი — ესპან-ელ-ი	ხატა-ეთ-ი — ხატა-ელ-ი
ჩინ-ეთ-ი — ჩინ-ელ-ი	მისრ-ეთ-ი — მისრ-ელ-ი...

ასეთები ცოტაა. მათაც შეიძლება და ჰქონოდათ უაფიქსო  
ფორმები: ჩინი, ფინი, სპანი.

ჩინი გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“:

ესე არაჲი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია (854, I).

სულხან-საბა ორბელიანის თხზულებაში „მოგზაურობა ევროპა-  
ში“ რამდენჯერმე გვხვდება სპანია:

ერთი ციხე იყო სპანიის მეფისა (საბა ორბელიანი, მოვ-  
ზაურობა ევროპაში, თბილისი, 1940, გვ. 15),

ქალი იყო სპანიის მეფის ცოლი (იქვე, გვ. 4).

გ. -ეთ-იან ტოპონიმს შეესაბამება ეთნიკური სახელი აფიქსიანი-  
ცა და უაფიქსოც:

იმერ-ეთ-ი — იმერ-ი, იმერ-ელ-ი



კახ-ეთ-ი — კახ-ი,	კახ-ელ-ი
კლარჯ-ეთ-ი — კლარჯ-ი,	კლარჯ-ელ-ი
შავშ-ეთ-ი — შავშ-ი,	შავშ-ელ-ი
სპარს-ეთ-ი — სპარს-ი,	სპარს-ელ-ი
ინდო-ეთ-ი — ინდო,	ინდო-ელ-ი
დიდო-ეთ-ი — დიდო,	დიდო-ელ-ი...

ს. ჯანაშიას აზრით, პირველია ეთნიკური ტერმინი, აქედან იწარმოება ტოპონიმი (იმერ-ი→იმერ-ეთ-ი), შემდეგ კი ამ ქვეყნის, კუთხის... სახელისაგან ისევ იწარმოვეს ტომის, ხალხის... სახელი.

ე. ი. ასეთი საფუძვლები უნდა გვექონოდა:

იმერ-ი→იმერ-ეთ-ი→იმერ-ელ-ი

კახ-ი→კახ-ეთ-ი→კახ-ელ-ი

ა. შანიძეც ასეთივე აზრისაა; იგი წერს: „განსაკუთრებით აღსანიშნავია ტომობრივი და ეთნიკური სახელები, რომლებსგანაც იმავე -ეთ-ის საშუალებით ტოპონიმი კეთდება: ხევსურ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი, მთიულ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, ოს-ეთ-ი, სომხ-ეთ-ი, რუს-ეთ-ი, სპარს-ეთ-ი, არაბ-ეთ-ი, და სხვ. ამავე სუფიქსს ვხვდებით ქვეყნის მხარეთა სახელებში. აღმოსავლ-ეთ-ი, დასავლ-ეთ-ი, ჩრდილო-ეთ-ი, სამხრ-ეთ-ი“<sup>21</sup>.

ა. ჩიქობავა ასხვავებს ორ შემთხვევას:

ა. ამოსავალია ადგილის (მიწა-წყლის, ქვეყნის) სახელწოდება და აქედან ვაწარმოებთ ამ ადგილის მკვიდრის სახელს (ქართლ-ი — ქართლ-ელ-ი, ქართლ-ურ-ი; აჭარა — აჭარ-ელ-ი, აჭარ-ულ-ი).

ბ. ამოსავალია გვარტომობის სახელი და აქედან იწარმოება ქვეყნის სახელი (სვან-ი — სვან-ეთ-ი; კახ-ი — კახ-ეთ-ი).

ამ უკანასკნელ შემთხვევაში გვარტომობის სახელი ხელახლად იწარმოები ამ ტოპონიმისაგან: კახ-ეთ-ი→კახ-ელ-ი. „კახისა და სპარსის ადგილი დაიჭირა კახ-ელ-მა და სპარს-ელ-მა. წინანდელი საგვარტომო სახელი შეგვჩაჩა საწარმოებელ ფუძეთა სახით ქვეყნების სახელწოდებაში: კახ-ეთ-ი, სპარს-ეთ-ი“<sup>22</sup>...

განვიხილოთ, როგორ იწარმოებოდა სახელები ტოპონიმებისაგან, რომელთაც ფუძეში აქვთ თ-ს შემცველი რომელიმე აფიქსი (-ათ, -ით, -ეთ, -უთ, -ოთ, -თა).

ყველა ეს აფიქსი, როგორც აღვნიშნეთ, წარმოშობით მრავლობითის აფიქსადაა მიჩნეული, ამდენად თ ყველა მათგანში ერთი და

21 ა. შანიძე, საფუძვლ., გვ. 140.

22 ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უაქველსი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 136-137.

იგივე ოდენობაა, მის თავდაპირველ ფუნქციად სიმრავლის აღნიშვნა ითვლება. მაგრამ ბევრ ტოპონიმში მრავლობითობის გაგება, უფრო მეტიც, ფუძის მნიშვნელობის გააზრებაც კი ჭირს. ფუძის ბოლოს კი გვაქვს -ეთ ან -ათ თუ სხვა აფიქსი. (მაგ.: კიკ-ეთ-ი, დუშ-ეთ-ი, ხვე-დურ-ეთ-ი, ქვიშხ-ეთ-ი, დარკვ-ეთ-ი, კარალ-ეთ-ი, ენავ-ეთ-ი, ერკნ-ეთ-ი, სალი-ეთ-ი, ნავარძ-ეთ-ი, ჩოჩ-ეთ-ი და სხვ.).

თუკი ყველა თანიანი აფიქსი ერთ თ(ა) აფიქსამდე დაიყვანება, თანაბარ ვითარებაში მათ ცვლილებებიც ერთგვარი უნდა გვიჩვენონ. ამ აფიქსებით გაფორმებულ სახელთაგან ახალ სახელთა წარმოებისას სხვადასხვაგვარობა თითქოს არცა გვაქვს. სახელდობრ, სადაურობის სახელთა წარმოებისას ყველა აფიქსი რჩება (თუ შედის) ახალ ფუძეში (ე. ი. ფუძედ აღებულია თანიანი აფიქსით გაფორმებული ნაწილი) და სადაურობის მაწარმოებელი -ელ ერთვის ამ აფიქსთა შემდეგ. განსხვავებას გვიჩვენებს მხოლოდ -ეთ-ი.

ათ	ით	ოთ
გელ-ათ-ელ-ი	როკ-ით-ელ-ი	რუფ-ოთ-ელ-ი
ქინძ-ათ-ელ-ი	კვალ-ით-ელ-ი	იკ-ოთ-ელ-ი
რცხილ-ათ-ელ-ი	ბორ-ით-ელ-ი	ბობ-ოთ-ელ-ი
თელ-ათ-ელ-ი	ჯიმ-ით-ელ-ი	ბელ-ოთ-ელ-ი
ჯუმ-ათ-ელ-ი	უჩხ-ით-ელ-ი	თხ-ოთ-ელ-ი

უთ	თა
ლანჩხ-უთ-ელ-ი	ხანძ-თ-ელ-ი
გეგ-უთ-ელ-ი	კავ-თ-ელ-ი
შუქრ-უთ-ელ-ი	გომარ-თ-ელ-ი
მუგ-უთ-ელ-ი	მოწამე-თ-ელ-ი
მუხ-უთ-ელ-ი	ბოლო-თ-ელ-ი

ასე არის ეს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ასე იყო ძველ ქართულშიც.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

-ათ: დაიწერა გენათელ მთავარ-ეპისკოპოსობასა შინა ანტონისსა (1518 წ.; ქრ. II, 410).

აქა ჯუმათელი შარაშიძე მიიყვალა (ქრ. II, 504; 1685 წ.).

აწე არის ამის მოწამე და შუამდგომელი... ქინძათელი ზურაბა (დოკ. 46; 1669 წ.).

კაცთაგან ამისი მოწამე და გამბრძვე ერისთავი გიორგი, ჯუმათელი ევთიმე, მიქელაძე ვიორგი (დოკ. გვ. 477; 1736 წ.).

-თა: მოწამენი: ახალდაბელისძე ღომი, მღვდელმონაზონი კავთელი ანანია (ქრ. II, 219; 1407—1413 წწ.).

ამის მოწამე ჩემი ძმა ლუარსაბ... კორინთელი იოთამ და იასე (დოკ. გვ. 142; 1710 წ.).

მე, გომართელს თამაზს დამიწერია (დოკ., გვ. 433; 1680 წ.).

გრიგოლ ხანძთელი...

მუგუთელი (XVII ს.).

-ით: ხვითელი დათუნა ტ[ატ]იშვილი (დოკ.).

მხალითელე ბმა მიჰყიდეს... ყანა (დოკ., XVII ს.).

ასე ნაწარმოებ სახელთა ფონზე თ-ს შემცველ აფიქსთა შორის გამონაკლისს გვიჩვენებს -ეთ სუფიქსი; ძველ ქართულში სადაურობის სახელთა წარმოებისას -ეთ სუფიქსიანი ფუძე კი არ გამოიყენებოდა, არამედ ფუძე ამ სუფიქსის გარეშე. მაგ.:

არგვ-ეთ-ი — მ-არგვ-ელ-ი

აჩაბ-ეთ-ი — მ-აჩაბ-ელ-ი

ავკ-ეთ-ი — ავკ-ელ-ი

ბერშო-ეთ-ი — ბერშო-ელ-ი

დაღ-ეთ-ი — დაღ-ელ-ი

ენაგ-ეთ-ი — ენაგ-ელ-ი

ერუშ-ეთ-ი — ერუშ-ნ-ელ-ი

თიან-ეთ-ი — თიან-ელ-ი

თრიალ-ეთ-ი — თრიალ-ელ-ი

კაკაბ-ეთ-ი — კაკაბ-ელ-ი

კარალ-ეთ-ი — კარალ-ელ-ი

კაწარ-ეთ-ი — კაწარ-ელ-ი

კლდე-ეთ-ი — კლდე-ელ-ი

მძოვრ-ეთ-ი — მძოვრ-ელ-ი

ილუსტრაციები „ქართლის ცხოვრებიდან“:

ორბ-ეთ-ი — ორბ-ელ-ი

საბროწლ-ეთ-ი — საბროწლ-ელ-ი

სარკინ-ეთ-ი — სარკინ-ელ-ი

სასირ-ეთ-ი — სასირ-ელ-ი

სთონ-ეთ-ი — სთონ-ელ-ი

ტბ-ეთ-ი — ტბ-ელ-ი

ფიტარ-ეთ-ი — ფიტარ-ელ-ი

ღვერთ-ეთ-ი — ღვერთ-ელ-ი

ყანჩა-ეთ-ი — ყანჩა-ელ-ი

ჩოჩ-ეთ-ი — ჩოჩ-ელ-ი

წოდორ-ეთ-ი — წოდორ-ელ-ი

ცხირ-ეთ-ი — ცხირ-ელ-ი

მაწლ-ეთ-ი — მაწლ-ელ-ი

ღედარ-ეთ-ი — ღედარ-ელ-ი

მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და უოველთა მთევლთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოქვეთა, კადელთა, ჭართალთა, ერწო-თიანელთა (ქ. ც. II, 111, 10).

სამშაბათამდის უოველთ დღეთ ომში იყენეს ცხრაზნი გოგორისშვილი რთინდა მისი ძმა ბერი ერუშნელი და მისი ძმისწული (ქ. ც. II, 522, 3).

ცხრა კაცი მანაბელი დიდად სახელოვნად დაიხოცნენ (ქ. ც. 130, 7).

პირველად რა გამოვიდეს ტფილისის ქალაქით მიეგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაღნი ახალნი... შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურიელნი თანა რაჭათაჲთაჲრ-მარგუთელითურთ (ქ. ც. II, 65, 16).

თ. ქორდანის მიერ გამოცემულ ქრონიკებში გვხვდება შემდეგი ნიმუშები:

შეინდგე სული ილარიონისი, ძისა ეაჩე ყანზაელისა (1030 წლის წარწერა „სამთავისიდან, ქრ. I, 171). **ყანჩა-ელ-ი—ყანჩა-ეთ-ი.**

თქუნენ, კასეთის პატრიარქსა პატრონსა ნეკოლას ჩუნენ, აღავერდელმა ზაგბარი, ნინო-წმინდელმა სილოვანე, კაწარელ ეპისკოპოსმან ფილიპე [ესე წიგნი მოგეცი] (1552—1563 წწ.; ქრ. II, 413). **კაწარ-ელ-ი—კაწარ-ეთ-ი.**

[წესნი და შესავალნი ყთა საყდართა დასაქცევად] მიღრეს და დიდისა დედაქალაქისა მცხეთისა შესავალნი მოვიკლენით და სხუათა სხუთთა განვაჩინეთ და ქუეღელურული ასე განვაჩინეთ: რაიცა დთივ გვარგნოსანთა სანიტრელთა მფეთა ჩუნეთა ჩამოშავალთა კუედურეთს მცხეთისათვის მოქუქსენებია, იგი ორბოძელთაგან მიჰმძღაერებოდა და მიზეზისა ამისათვის დასპირვოდა (1335 წ.; სიგელი მეფე დავით VII-სა. ქრ. II, 185).

X საუკუნისად მიჩნეულ დოკუმენტში მოხსენებულია **ცხირელი** (←**ცხირეთი**). ცხევერელებს მიქაელ მემღვიმის მიერ დაკისრებული ციხისა და მონასტრის ბეგარა-გამოსაღებლით **ცხირელი** „ხელოსანი“ უნდა დაეპურებინათ (**მასალ.** I, 253).

როგორც მოყვანილი მაგალითებიც გვიდასტურებს, ძველ ქართულში -**ეთ** აფიქსიანი ტოპონიმებისაგან სადაურობის სახელები -**ეთ** აფიქსდაურთავი ფუძისაგან იწარმოებოდა. ეს იყო ნორმა. მაგრამ ამ წესს, როგორც ჩანს, იშვიათი გამონაკლისი მაინც ჰქონია. ზოგი უმარცვლო ან ხმოვანზე გათავებული მოკლე ფუძის მქონე ტოპონიმისაგან სადაურობის სახელი -**ეთ** აფიქსიანი ფუძიდან ამოსვლით იწარმოებოდა.

მაგ.: რუ-ეთ-ი — რუ-ეთ-ელ-ი;

და კულა შენ, ზოსიმეს, რუეთელისა მჭედლისძისაგან გეყიდა ორისა დღისა მიწა (1250—1260 წწ. ქრ. II, 151).

1170 წ. საბუთში ნათქვამია, რომ რუეთელებს ორი დღე სახნავში უნდა ემუშავათ და ორი დღე — სამკალში (**მასალ.** I, 177).

ძველი ძეგლებიდან ცნობილია პიროს **ბრეთელი** (←**ბრეთ-ი**) (ქრ. I, 54).

თუმცა ადრინდელ საბუთებში ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ, ეფიქრობთ, ასევე იქნებოდა წყნ-ეთ-ელ-ი.

1665 წ. ყმობის წიგნში გვაქვს: „არის ამის მოწამე... კაცთაგან წყნეთელი მუქაფაშვილი მახარა“ (**დოკ.** I, 38).

XVII—XVIII სს. ძეგლებშიც ჩვეულებრივია -**ეთ** დაურთავი ფორმები.

მაგალითად:

აკველი შიომშავილი გიორგი ჭავჭავაძის სვიმონს მამის სიკვილს უჩიოდა (1706-1733 წწ.; **დოკ.** I, 136).

მოგეცით ჩვენი ყმა დაღელი ხუროთსია წატურასშვილი (1704 წ.; **დოკ.** I, 126).

მოგვიდე ჩემი ალალი ყმა... ესტაშვილი ენაგელი ბეჟანა და შვილი მისი წაზარა და როსტონი (1742 წ.; დოკ. I, 38).

ყანდურთან წყლითუე კაკაბულთ დარჩა (1700 წ.; დოკ. I, 374).

არის ამის დამსწრე... ქეთარაშვილი ნიკოლოზ, კარალელი მამასახლისი გიორგი (1742 წ.; დოკ. I, 308).

ესე წყალბობის წიგნი გიბოქთა... თქუენ... ქიტბელთა, ბარათულოა, კლონეთელთა, საბროწლელთა (1697 წ.; დოკ. I, 102).

ამის მოწამე... კეთთავან... საარკინელი შანაშვილი გორჯასპი (1712 წ.; დოკ. I, 194).

არის ამის მოწამე... ტინძათელი ზურაბა... სასირელი კახბატაშვილი შავერდი (1669 წ. დოკ. I, 46).

ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგვიცოთ ჩვენ დვერთელმა გვრიტაქემ თამაზას-შვილმა ბერმა და ძამა ჩუმა (1744 წ.; დოკ., 320). შდრ.: დვერთ-ეთ-ი.

მოგვიდე ჩემი მეკვიდრე ყმის წოდოტელი ბერიას ცოლშვილი (1719 წ., დოკ., 181).

ერთი ყმის შვილი ალანო გოგის შვილი ჩოხელი ჩემი ნასყიდი ყმის შვილი შენს ყმას გერთ მოულოდა (1710 წ.; დოკ., 144).

ესე მამულის ნასყიდობის წიგნი დავიწერეთ და მოჯართვით ჩვენ, მძოვრელ მან ჩინჯისაშვილმან... თქვენ, ნოდირაშვილს ფარსადანს (1736 წ.; დოკ., 254).

მძოვრელი მამასახლისი მენშვილდიშვალი თამაზა (ოქვ).

**ბერშოელნი** 1690 წ. საბუთში დასახელებულნი არიან, როგორც მოწამენი (სამ. ძეგლ. I). შდრ.: ბერშო-ეთ-ი.

**დედარ-ელ-ი** (←**დედარ-ეთ-ი**) გვხვდება XVII ს. საბუთში: **დედარელი** არის მოწამე შალვა სააკაძის მიერ შოშიაშვილის შვილები-სათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. მასალ. I, 230).

1635 წ. თბილისის სიონის სიგელში გვხვდება **სთონ-ელ-ი** (←**სთონ-ეთ-ი**) ფორმა:

წამოდვეს ბატონის თბილელს ყმა ლილოვნილი ბოტკიაშვილი მახარობელი, წინარტეს უკუწირიქ თევდორე და ქალაქ ტოტოაშვილი დეკანოზი ბასილი. ეს სამნი სამის მოფიცობითა, რომელიც უმტერთ კაცი მერაბ შულსახელის: ერთი სთონელი ს გოგნელის შულის იოგანეთა და ერთის ზიზანიშვილის ჯიშერთათა და ერთის წუვერელით ახლსიაშვილის ხატისას შილითა (ისტ. საბუთ., IV, 21—22).

ასე რომ, XVII—XVIII სს. ძეგლებში ჯერ კიდევ გაბატონებულია სადაურობის სახელთა წარმოება -**ეთ** აფიქსდაურთავი ფუძისაგან, ასეთი წარმოებაა ისევე ნორმა. მაგრამ ამავე ხანის დოკუმენტებში უკვე მოხშირდა ისეთი სადაურობის სახელებიც, რომელთაც გამოყენებული აქვთ -**ეთ** აფიქსიანი ფუძე: **თელ-ეთ-ი** — **თელ-ეთ-ელ-ი**, **ბარ-ეთ-ი** — **ბარ-ეთ-ელ-ი**... მაგ.:

ზე, კარგარეთელი იოთამი მოწმე ვარ (1748, დოკ., 220).

კარგარეთელმა პეტრემ თავისი სახსოს მამულითა და პავლიას მამულითა [უნდა გადაიხადოს] რვა კოდი თეთრი, ორი მინალთენი (1741-47 წ., დოკ., 362).

ბარეთელი ტბისკენ ეცილებოდნენ და დიდი გორა რო შესდევს, იმის გაღმობა ბარეთელთ ქელი არა აქვს (სამ. ძ. 111; 324, დასტურლამა).

მოწამეცა ვარ მე თეღეთელი ბეჟანა (1740 წ., დოკ.; 290).

ესე წყალობის წიგნი და სიგელი ვიბოძეთ ჩვენ, ქართლისა კათალიკოსმან... თქუნენ, ჩუენს ყმათ თრიალელთ ერთობილთა... ქიტიბელთა, ბარათელთა, კლონეთელთა (1697 წ. დოკ., 102).

ეტყობა თანდათან გახშირდა -ეთ აფიქსიანი ფუძის გამოყენება და XIX საუკუნის სალიტერატურო ენაში უკვე -ეთ სუფიქსიანი ფუძიდან წარმოება სჭარბობს. ასეთი წარმოება ისე მომძლავრდა, რომ -ეთ-იანი ფორმა შეგვხვდება ზოგჯერ იქ, სადაც სრულიად არ მოველით. მაგალითად, ი. გოგებაშვილი ხმარობს ფორმას რუსეთელი:

მციროდენი ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა, რომელიც გადაბირების გზას დასდგომია, რუსეთელ მოდასაველეთეა სახელს იჩემებს და სხვებს სლავონოფილებს ადარებს (II, 115).

ვაჟა-ფშაველასთან გვხვდება უცხო-ეთ-ელ-ი, ჩინ-ეთ-ურ-ი...

უცხოეთელს თილები აუტრელდა (X, 44).

ემშაკი ყველა ენაზე ლაპარაკობს, ჩინეთურზე დაც (X, 10).

ასეთი უმართებულო ფორმები სალიტერატურო ქართულში ვერ დამკვიდრდა, მაგრამ სამაგიეროდ კიდევ უფრო გაძლიერდა ტენდენცია სადაურობის სახელების წარმოებისა -ეთ აფიქსდართული ფუძისაგან და დღეს უკვე წესად იქცა, რომ ასეთი სახელები ამგვარი ფუძისაგან იწარმოება. ვამბობთ: ენაგეთელი, კაკაბეთელი, კლდეეთელი, ბაიღეთელი, კარაღეთელი... მაგ.:

ბაიღეთელ კოლმეურნეებს სიმინჯის მოვლა-მოყვანის დიდი ტრადიცია აქვთ (სოფ. ცხ.).

ზომღეთელი მეცხოველეები... გადაჭარბებით ასრულებენ.. გეგმას (სოფ. ცხ.).

ცხადია, ცუდად არა უმუშავიათ ხურვაღეთელებს (საქ. ქალი)- ყოველ პეტარზე კარაღეთელები 92 ცენტნერ... ვაშლს კრეფენ (სოფ. ცხ.).

კარგად უმუშავიათ კაკაბეთელ მშრომელებს (სოფ. ცხ.).

საკარმიდამო მიწები არასწორი გზით გაზარდეს პერევენი მცხოვრებმა შეუკიძებ, ქორეთელმა გ. გულაძემ (სოფ. ცხ.).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონა დუშეთისა და თიანეთის

რაიონების მადლობი ნაწილისათვის... ადგილობრივი თიანეთური დიკა  
(„კომუნისტი“).

თამარს დედა დეშეთელი ჰყოლია, ხოლო მამა — მცხეთელი  
(„საქ. ქალი“).

ქვიშხეთელი ამირან-ლომიძე განდონით აღსავსე ვაჟაკია  
(„გამარჯვების გზა“).

ყველას სჯერა, რომ კაკაბეთელი ჰაბუცი გამართლებს დიდ ნდობას  
(„ივრის განთიადი“).

„თიანეთელი საქმეები“ (სათაურია) („კომუნისტი“).

„დეშეთური კონტრასტები“ (სათაურია) („სოფ. ცხ.“).

თიანეთელი მეცხოველეები უკვლავებს გააყვებენ იმისათვის, რომ  
შრომითი გამარჯვებით შეხედნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს  
(„სოფ. ცხ.“).

იგი კარაღეთელი ვეტერანი კოლმეურნეა („სოფ. ცხ.“).

ბონდისხილს, ისე როგორც ოქროს ბეჭედს მარგალიტის თვლები, გარშემო  
გორაკებზე შეფენილი, წვრილ-წვრილი თემები აკრავს. კერძოდ: მწიფეთი, ჰაყეთი,  
ბუქსიეთი, წკვარამეთი, უკუნეთი, კვირიკეთი, კაკაბეთი, ქოქოლეთი და წიფნა-  
გვარა.

მეწიეთელი, ჰაქიეთელი, ბუქსიეთელი, წკვარამეთე-  
ლი, უკუნეთელი, კვირიკეთელი, კაკაბეთელი და წიფნაგვა-  
რელი ბევრები ბონდისხილელ ბავშვებისაგან თითქმის არაფრით არ განსხვავდუ-  
ბიან (ნ. დუმბ.).

ამავე დროს - ეთ სუფიქსდაურთავი ფუძისაგან ნაწარმოები  
ფორმებიც არაა უცხო ახალი ქართულისათვის, მაგრამ ასეთი ფორ-  
მები შემორჩენია მხოლოდ ზოგ სახელს, როგორიცაა, მაგ.:  
თიან-ელ-ი, დუშ-ელ-ი, წოდორ-ელ-ი. ჩოჩ-ელ-ი, კარალ-ელ-ი, ნა-  
ვარძ-ელ-ი, სიმონ-ელ-ი... მსგავსი ვითარებაა -ის აფიქსიან სახე-  
ლებშიც.

ასეთი ფორმები უფრო დიალექტებში (უმეტესად აღმოსავლურ  
დიალექტებში) იხმარება და მტკიცედაა ფეხგადგმული.

ასეთი მერყევი, პარალელური ფორმები კარგად ჩანს ერთ ხალ-  
ხურ ლექსში, რომელსაც ასე ასათაურებენ: „ქართლში შესანიშნავი  
სად რა იცის?“ და რომელშიც, როგორც მწერალი გ. შატბერაშვილი  
წერს, „შექებულია განთქმული წინარეხული ერდო მალალი, კავ-  
თისხეური კირი, თვალადური სიმინდი, ხოვლური ჩანგური და სხვ.  
თუმცა უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ მსუბუქი ქართლური ჰუმორით  
არის გაკენწლილი“ (გ. შატბერაშვილი, „ჭაშნიკი“, 1964, 86).

ბაზაზობა ქალაქური,  
ქარი დიდმური,  
მღვდელი ქვემოავქალური,  
ქალი ზემოავქალური,

შოლტი ნაქულბაქერი,  
 ტურა ძეგვერი,  
 მელა სასხორული,  
 ორკეცი ჩიბუხი ქვემონი ჩ ბ უ რ ი  
 (—ნაჩბ-ის-ი)  
 ლილი ძაღლები ზემონი ჩ ბ უ რ ი,  
 ქრელი მამლები გომიჭვრელი,  
 ლობიო დავრელი,  
 ირწიეობა თელათგორელი,  
 ერლო მიღალი წინარებელი,  
 სიძინდი თვალადური,  
 ბუში ჩოკანთუბნური,  
 კირი კავთახური,  
 ქილობი ი დ ლ უ რ ი (—იდლ-ეთ-ი),  
 უინია გომური,  
 რთვილი კასპური,  
 ხვეი ბორტელი,  
 ყმატი ჩ ო ჩ უ რ ი (—ჩოჩ-ეთ-ი),  
 კუდა ახსაური მეტებური,  
 ყივანახველა სასხორული  
 (—სასირ-ეთ-ი),  
 ჭონა ყარაღაჯული,  
 ქრელი ძაღლი გრაკლური,  
 სადლობელი დოესური,  
 მკითხავი ქვახრელიური,  
 ციებ-ცხელება უფლისციხური,  
 ქალი და რძალი ხიდისთაური,  
 წყლის ხერხი ატენური,  
 ლიტრა გორული,  
 ჩანგური ხოვლური,  
 სომინდის ჭინი ზემოხანდაკური,  
 დავიდარაბა ახალქალაქური,  
 სახრაეი ატამი თემისხეური,  
 დიდრონი სამძლები ახალციხური,  
 ჭიანი კვირჩხი ნოსტური,  
 ქერი ბ ო ტ ი ს უ რ ი (—ბოტ-ის-ი),  
 ივდარი მ ო ხ ი ს უ რ ი (—მოხ-ის-ი),  
 პური თ ო ნ ე თ უ რ ი (—თონ-ეთ-ი),  
 ჩხუბი დვანური,  
 პანტა ღოღოვენური,  
 კართოფილი რ უ ი ს უ ლ ი (—რუ-ის-ი),  
 კირი წალყური,  
 ნახშირი წ ყ ე ნ ე თ უ რ ი (—წყნ-ეთ-ი),  
 მეველე შ ი ნ დ უ რ ი (—შინდ-ის-ი),  
 მაღალი კაცი ლ ი ს უ რ ი (—ლისი).



„ქართულ დიალექტოლოგიაში“ დადასტურებულია სასაუბრო-  
ენიდან აღებული შემდეგი ნიმუშები: თიანელი, წავკელი — წავკური,  
შინდელი — შინდური, ქიწნელი — ქიწნური, კარალელი — კარა-  
ლული:

მაგ.:

თიანელსა და დუშელ მწყემსებს საქონელი დაუდიოდათ საძოვარზე  
(დალექტ., გვ. 159).

მაწინ გაუშვეს დუშელეებისა და თიანელეების საქონელი საძო-  
ვარზე (იქვე, გვ. 159).

უფრძნის ჯიშებია: თაევერბი... გორულა... დიდმურა... ფრანგულა... ქიწნუ-  
რა (იქვე, გვ. 286)<sup>28</sup>.

ვაი, შენ ჩემო კარალულო ჩალო (ხალხ.).

ასეთი ფორმები სალიტერატურო ენაშიც გვხვდება; გვხვდება  
ისინი ვაკასთან, ილიასთან, შ. არაგვისპირელთან...

მაგ.:

თიანელეებს ეჯარებათ წიგნი (ვაჟა).

დუშელეებმა თავი გამოიდეს (ვაჟა).

ბოსრედნიკი ჰყავთ დუშელეებს, ვით გაკრევილი ვაცია (ვაჟა).

თიანური ფელეტონი (სათაურია) (ვაჟა).

არც დუშელეებს დაუგვიანიათ (შ. არაგვ.).

...საკვირველი ხალხი ყოფილან დუშელი მანდილოსნები (ვაჟა).

ჩვენი, თიანელეების, შინაური ცხოვრება ისე უშინარსო და უფრუ-  
ლია (ვაჟა).

გვხვდება ეს ფორმები მე-20 ს. მხატვრული ლიტერატურის  
ენაშიც:

[...მხატვრული] მცხეთაში ერთმა დუშელმა უცაბედიდ წაიქცია (მ. ჭავჭავ.).  
გლესს... შევლა ყველგან სწირდება, — ხეობელსაც, ივრელსაც და თიანელ-  
საც (მ. ჭავჭავ.).

თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც ეს ფორმები გვხვდება ჩვენს  
ეურნალ-გაზეთებში:

მას თიანელი ნ. უფრზევიშვილი ასწავლის („სახ. განათლ.“).

მცხეთელი და დუშელი კოლმეურნეები ყველა სამუშაოს პირნათლად  
შეასრულებენ („კომუნისტი“).

<sup>28</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარიძე, ქართუ-  
ლი დიალექტოლოგია, თბილისი, 1961.

სიტყვებით გამოვიდნენ... დუშელი პედაგოგი მ. როსტიაშვილი, ოძისის საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. ვაშაიძე („კომუნისტი“).

დუშეთის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანოში „კომუნისტის გზა“ ეს სადაურობის აღმნიშვნელი სახელე-  
ბი, როგორც წესი, -**ეთ** დაურთავი ფუძისაგანა ნაწარმოები: **დუშ-  
ელ-ი, ბაზალ-ელ-ი...**

მაგ.:

შინაარსიანად ატარებენ ზაფხულს დუშელი პიონერ-მოსწავლეები  
(3.VIII.4.1972 წ.).

ბეკრი დუშელი მოქალაქე.. მისაბამ გულისხმიერებას იჩენს მშობლიური  
ქალაქის ვალამაზებისათვის (1972, 5.VIII.3).

დუშელმა მოსწავლეებმა... შესანიშნავად შეასრულეს ცეკვა „აჭარული“  
და „აზბეგური“ (1972, 15.V. გვ. 4).

ბაზალელმა კოლმეურნეებმა... გაცხოველებული შრომა გააჩაღეს მეცხო-  
ველეობის საყვები ბაზის შესაქმნელი (1972, 19.VIII.1).

ბაზალელმა მზენელ-მოესველებმა ძირითადად კარგად დაამუშავეს სა-  
თოხნი კულტურები და კარგი მოსავლის აღებას ეარაუდობენ (1972, 17.VIII, 3).

მოსაუღლს აზინავებენ ბაზალელები, ასილოსებენ სიმინდს, მტკიცე საყ-  
ვებ ბაზას ქმნიან მეცხოველეობისათვის (1972.7.IX.4).

ძირითადად გაზეთები, როგორც ზევით აღვნიშნეთ, აგრძელებენ  
უნიფიცირებას. თვით ამ გაზეთის („კომუნისტის გზა“) ფურცლებ-  
ზეც გვხვდება **თიანეთელი, დუშეთელი, კადოეთელი** ფორმები:



-**ეთ** აფიქსიანი ტოპონიმებისაგან ნაწარმოებ სადაურობის სახე-  
ლებში -**ეთ**-ის ადგილას ზოგჯერ გვხვდება ჩართული -**ივ** (-ავ), -**ვი**-  
**ენ** (-ან), -**ნ** აფიქსები.

მაგალითად:

ნაზარ-ეთ-ი  
ერუშ-ეთ-ი  
საქაშ-ეთ-ი  
ფხო-ეთ-ი

ნაზარ-ეე-ელ-ი  
ერუშ-ნ-ელ-ი  
საქაშ-ნ-ელ-ი  
ფხო-ნ-ელ-ი  
ფხო-ე-ელ-ი<sup>24</sup>.

<sup>24</sup> შესაძლებელია ტოპონიმი **ფხო-ე**-ის თავდაპირველი სახე **ფხო** ყოფილიყო (შდრ. შუაფხო), მასზე -**ეთ** აფიქსის დამატებით მივიღებდით **ფხო-ეთ**- ტოპონიმს. ეს ფორმა დადასტურებულია „ქართლის ცხოვრებაში“: ერთ-ერთი დაურჩა დურ-

ასეთი შენაცვლება თ-ს შემცველ სხვა აფიქსებთანაც შეიძლება შეგვეხედეს: ხრე-ით-ი — ხრე-ვ-ელ-ი.

ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ე ბ ი ძ ე გ ლ ე ბ ი დ ა ნ :

[წინომ] მოუწოდა მთელთა, ჭართლელთა, ფხოველთა და უქადაგა სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი (ცხ. წინობი, 229).

ესე აზატულობის წიგნი და პირი გიბოძე... შენ ჩემს მემკვიდრეს ყმას საჭაშ-ნელსა (—საჭაშ-ეთ-ი) ნასყიდაშვილს ივანეს (1749 წ. დოკ.).

-ეთ აფიქსისა და -ენ/-ნ, -ევ/-ავ აფიქსთა მონაცვლეობა გვაფიქრებინებს, რომ ეს აფიქსები ერთი ფუნქციის მატარებელი არიან. ამ სუფიქსებს მრავლობითობის აღმნიშვნელად მიიჩნევენ. ამიტომ ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ -ეთ-ის ჩამოცილების შემთხვევაში სიმრავლის გადმოსაცემად ენაცვლებოდა მას -ევ/-ენ აფიქსები. მაგრამ საქმეს ართულებს ის ფაქტი, რომ -ევ/-ენ ზოგ ისეთ სახელთანაც გვხვდება, რომელსაც -ეთ სულაც არა აქვთ და არავითარი სიმრავლე მასში ნავულისხმევი არაა.

მაგალითად:

ხანდო — ხანდო-ვ-ელ-ი

რუ-ის-ი — მ-რუ-ვ-ელ-ი<sup>25</sup>

რაჭა — რაჭ-ვ-ელ-ი

ქართ-ი — ქართ-ვ-ელ-ი

ყელა — ყელა-ვ-ელ-ი

სამთავ-ის-ი — სამთავ-ნ-ელ-ი...

-ავ/-ევ, -ან/-ენ აფიქსთა გამოყენება ასეთ შემთხვევებში, როდესაც გეოგრაფიულ სახელს არც -ეთ აფიქსი აქვს და ე. ი. არც სიმრავლის გაგება, აჩენს ეჭვს, რომ ამ აფიქსებს საერთო აქვთ არა მრავ-

ბუქეთი და ერთ-კერძო დიდოეთი და ფხოვეთი (ქ. ც. II, 111,14). აქედანაა ნაწარმოები სადაურობის სახელი ფხო-ელ-ი: დაუტევა ტფილისს დედოფალს წინაშე, რომელმან აღაშენა ისანთა პალატი, განგებთა დიდითა და ფხოველნი მოხარკე ყენა (ქ. ც. III, 230). ამის გვერდით გაჩნდა ვ და ნ ჩართული ფორმებიც: ფხო-ვ-ელ-ი, ფხო-ნ-ელ-ი: ხოლო ფხოველნი ჭუარის მსახურნი არიან (ქ. ც. II, 111,10). მათ უკუე ყამთა იწყეს მთელთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდთა (ქ. ც. II, 111,3). [წინომ] მოუწოდა მთელთა, ჭართლელთა და ფხოველთა და უქადაგა სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი (ცხ. წინობი, 229). (შდრ. ხანდო — ხანდო-ვ-ელ-ი, რაჭა — რაჭ-ვ-ელ-ი, ყელა — ყელა-ვ-ელ-ი). ამის შემდეგ ტომონიმი ფხო ფხოვ-ად შეიცვალა.

<sup>25</sup> ა. შანიძე ვარაუდობს, რომ რუ-ის-ის პარალელური უნდა ყოფილიყო რო-ის-ი, აქედან: მ-რო-ელ-ი, ვ-ს გაჩენით ო-ს შემდეგ: მ-რო-ვ-ელ-ი. იხ. მისი: ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 128.

ლობითის გადმოცემის ფუნქცია, არამედ რაღაც სხვა ფუნქცია (ეგზე-  
ბის გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლებისა). სხვაგვარად რომ  
ვთქვათ, მონაცვლეობა *ერუშ-ეთ-ელ-ი* და *ერუშ-ნ-ელ-ი* შესაძლე-  
ბელია იმის გამო, რომ *-ენ* და *-ეთ*, ასევე *-ევ* აფიქსები გეოგრაფიულ  
სახელთა მაწარმოებლები არიან საერთოდ.

უნდა მოვივინოთ ის ფაქტიც, რომ *თ-ს* შემცველ აფიქსთა  
ფუნქციის ახსნა, რაც ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაშია მოცემუ-  
ლი, ყოველთვის ბოლომდე ნათელს ვერ ზღის საქმის ვითარებას. რო-  
გორც აღვნიშნავდით, ხშირად, თითქმის, სრულიად აშკარაა, რომ *-თ*  
მრავლობითობას გამოხატავს (მაგალითად, ისეთ ტოპონიმებში, რო-  
გორცაა: *თელ-ეთ-ი*, *ქორ-ეთ-ი*, *კლდე-ეთ-ი...*), მაგრამ ტოპონიმთა  
დიდ ნაწილში სიმრავლეზე ლაპარაკი ჭირს, რადგან თვით ფუძის  
ზნიშვნელობაც არაა ნათელი.



სადაურობის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებით ყურადღე-  
ბას იქცევს ერთი ფაქტიც. საზოგადოდ ქართულში სადაურობის სა-  
ხელებს ადამიანთა კლასის სახელებისათვის *-ელ* სუფიქსი აწარ-  
მოებს, ნივთის კლასის სახელებისათვის კი *-ურ* (*ქალაქ-ელ-ი* კაცი,  
*ქალაქ-ურ-ი* ჩვეულება, *გორ-ელ-ი* კაცი, *გორ-ულ-ი* ვაწლი...).

ჯერ კიდევ 1930 წლის გრამატიკაში ა. შანიძე მკვეთრ ზღვარს  
ატარებდა ამ აფიქსებს შორის: „*-ელ...* მიხვეწებელია სადაურობისა  
ადამიანთათვის; მაგალ.: *გორ-ელ-ი*, *ხონ-ელ-ი*, *სოფლ-ელ-ი*, *ქალაქ-  
ელ-ი*, *მოსკოვ-ელ-ი*, *ამერიკ-ელ-ი* და მისთ. (მისი სინთონიზა *-ურ*,  
მაგრამ უკანასკნელი ძმარება არა-ადამიანისათვის)“. „*-ურ* (რ-იან  
ფუძეებთან დისიმილაციის გზით *-ულ*) მიჩვენებელია ვითარებისა ანუ  
როგორობისა და კერძოდ აღმნიშვნელია სადაურობისა არა-ადა-  
მიანთათვის (შდრ. ზემოთ *-ელ*). მაგალითები: *მგლ-ურ-ი*, *კაც-ურ-ი*,  
*ქალ-ურ-ი*, *მხეც-ურ-ი*, *სომხ-ურ-ი*, *ოს-ურ-ი* და მისთ. *ღორ-ულ-ი*,  
*მხედრ-ულ-ი*, *ვაკრ-ულ-ი*, *ამერიკ-ულ-ი*, *რუს-ულ-ი*, *ფრანგ-ულ-ი*  
და მისთ“<sup>26</sup>.

მკვლევარი იქვე გახაზავდა, რომ ამ ორი აფიქსის ასეთი დიფერ-  
ენციაცია გამოჩაყლის შემთხვევებში არეულია და მაგალითად და-

<sup>26</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, ტფილისი, 1930,  
გვ. 56.

სახელებულია გურ-ულ-ი და ქუთათ-ურ-ი: „გამონაკლისია გურ-ულ-ი, რომელიც ითქმის როგორც ადამიანზე, ისე არა-ადამიანზედაც, რადგანაც ადამიანთათვის წესიერად ნაწარმოები გური-ელ-ი მართოდენ გურიის მფლობელთა საგვარეულოს აღსანიშნავად იქნა გამოყენებული. ასევეა ძველი წარმოება ქუთათ-ურ-იც, რომელიც შეიძლება ქუთაის-ელ-ის მნიშვნელობითაც იხმარებოდეს“<sup>27</sup>.

-ელ და -ურ აფიქსთა ასეთ მონაცვლეობაზე ჯერ კიდევ 1925 წ. გარეკახურის მაგალითზე მიუთითებდა ა. ჩიქობავა: „სადაურობის სუფიქსად ქართულში გვაქვს: -ელი და -ური; პირველი, თუ საქმე გონიერ არსებას შეეხება, მეორე დანარჩენს შემთხვევაში; მაგალ. „მე ვ ე ნ ა ხ ე კ ა ხ ე ლ ი, მ ე უ რ ნ ე ქ ა რ თ ლ ე ლ ი“, მაგრამ: „ღვინო კახური, ხილი ქართლური“, გარე-კახურში პირველ შემთხვევაშიდაც -ური სუფიქსის ხმარებას ვხვდებით; მაგალითად: „ღეღა-კაცი ყვანდა, თოხლია ურულ იყო... ორი კაცი წავიდა: ერთი გარეჯული და ერთი გიორგი-წმინდული... ერთი გარეჯული ღვდელი იყო, ორიც ნინოწმიდური“<sup>28</sup>.

ასეთი მაგალითები სხვაგანაც გვაქვს: ოზურგეთის მკვიდრს გურიის ოზურგულს ეძახიან (ოზურგული ქალი, კაცი); ცნობილია ლექსი: „ახმეტური ქალი გიყავ, ახნეტავი მეო“; ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“ ვხვდებით: „სანათაი ვარ მე, შვილო, აფხუ-შოური ქალია“ (აფხუშოური — აფხუშოს მკვიდრს, აფხუშოელს ნიშნავს); იმავე პოემის გმირია ხოშარეული: „გულრკინას ხოშარეულსა შუა გადუტყდა ხმალია“. (ხოშარა სოფელია ფშავეში. აქედანაა სადაურობის სახელი ხოშარა-ულ-ი/ხოშარე-ულ-ი)<sup>29</sup>. ისტორიულ დოკუმენტებში შეგვხვდა ადამიანთა სადაურობის სახელები -ურ სუფიქსით ისეთი სახელებისაგან ნაწარმოები, რომელთაც -ეთ ან -ის არა აქვთ ფუძეში: ქარელ-ისაგან — ქარ-ულ-ი მგელიტა (1691 წ.); კოირ-ისაგან — კოირული კაცები (1661 წ.); ღრე-საგან — ღრე-ულ-ი (1698 წ.) და სხვ. „ქართულ დიალექტოლოგიაში“ გვხვდება: ახნაური მეტეხური, მეველე შინდური... ვაჟა-ფშაველასთან გვხვდება თიანური ფორმა ადამიანთა სადაურობის აღსანიშნავად,

27 იქვე, გვ. 57.

28 ა. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად. არილი, ტფილისი, 1925, გვ. 72. იხ. აგრეთვე „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, თბილისი, 1942, გვ. 138—139.

29 იმავე პოემაში გვაქვს ხოშარელი ფორმა: „წარღვა დაგვიცა ხოშარელთ წყეულს თათრის ვარისა“ („ბახტრიონი“).

მაგ.:

ხასიათის სისუსტეს, დაუდევრობას მართო თი ან ურ „ინტელიგენციას ვერ გუქიენებთ“ (ვაჟა).

მიკვირს, რა დაინახა საინტელიგენციო თი ან ურ ახალგაზრდობაში „მგელა ხინკალშამიაშვილმა“ (ვაჟა).

თი ან ურ მოხუღებს შორის ამისთანა უღამი ხალხი ბევრია (ვაჟა).

მივრამ, რა თქმა უნდა, ეს ფორმები ერთადერთი არაა. ვაჟასთან დადასტურებულ აფხუშოურ-ს გვერდით ამოუდგება ფშავეში დადასტურებული აფხუშოელი და აფხუშუელი:

ნანი აფხუშუელ ქალი ყოფილა (დაილ).

ერთი აფხუშუელი თავის ცოლითურთ იქა ყოფილა თურმე (დაილ).

ინტერესს მოკლებული არ იქნება მსგავსი წარმოების დადასტურება საბა-სულხან ორბელიანთან: ფრანცია ტოპონიმიდან საბას აქვს არა ფრანცი-ელ-ი, არამედ ფრანცია-ულ-ი:

შემოგვეყარა ლუის მეფის ცოლი, ფრანციაული ქალი იყო (საბა, მოგზ.).

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ისიც, რომ -ელ/-ურ აფიქსთა გვერდით სადაჟრობის მაწარმოებლად გვხვდება -არ აფიქსიც, რომელიც ზანური წარმოშობის აფიქსადაა მიჩნეული:

ხერთვ-ის-ი ხერთვ-ის-არ-ი (XVI ს. სამ. დ., III).

ლობი-ეთ-ი ლობი-არ-ი (XVI ს. სამ. დ., III)

ტბ-ეთ-ი მ-ტბ-ევ-არ-ი

ამ სუფიქსთა (-ელ, -ურ, -არ) ურთიერთობა საგანგებოდ უნდა იქნეს შესწავლილი.

\*  
\* \* \*

-ეთ აფიქსიან სახელთა ანალოგიურია -ის-ი-ზე დაბოლოებულ ტოპონიმაგან სადაჟრობის სახელთა წარმოებაც.

სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია აზრი, რომ -ის-ი-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები (თბილ-ის-ი, ქუთათ-ის-ი, ურბნ-ის-ი, რუ-ის-ი...) წარმოშობით გენეტივში დასმული მსაზღვრელი სახელებია.

ა. შანიძე წერს: „ბევრი გეოგრაფიული სახელი წარმოადგენს ნაგენეტივარ სახელს -ის დაბოლოებით: თბილ-ის-ი, მანგლ-ის-ი, ურბნ-ის-ი, ქუთათ/თ/-ის-ი, შინდ-ის-ი, მარილ-ის-ი (კახეთში), მარელ-

ის-ი (იმერეთში), ჯვარ-ის-ა და სხვ.<sup>30</sup> „ნაგენეტიყარია სახელი, რომლის ფუძე მართა წარმომობით არის გენეტივი (ნათ. ბრუნვა), მაგრამ გენეტივის გაგება აღარ აქვს. ასეთია მრავალი გეოგრაფიული სახელი, რომელთაც ბოლოში -ის მოუდის: თბილ-ის-ი, ქუთა-ის-ი, მანგლ-ის-ი, შინდ-ის-ი, რუ-ის-ი, ურბნ-ის-ი და სხვ. ასეთივეა -თა-ზე გათავებული სოფლის სახელები: ჩხიკვ-თა, ცაბაურ-თა, მოწამე-თა და მისთ. ეს ის სახელებია, რომელთაც რაღაც საზღვრული (დაბა, სოფელი, ციხე, ქალაქი და სხვ.) უნდა ჰქონოდათ ერთ დროს, მაგრამ საზღვრულის ჩავარდნის გამო მსაზღვრელს დაჰკარგვია პირვანდელი მნიშვნელობა და ახალი მიუღია: დაბაა რუ-ის-ი → რუისი, ციხეა ქუთათ-ის-ი → ქუთათისი (აქედან შემდეგ: ქუთათისი) და მისთ. მსგავსი წარმოება მსაზღვრელ-საზღვრულისა შემონახულია „მამასახლის“-ში და „ერგასის“-ში (ერგასისი — ასის ნახევარი, ორმოცდაათი; იხმარებოდა ძველ ქართულში)“<sup>31</sup>.

-ის-ი-ზე დაბოლოებული ბევრი სახელია ცნობილი ქართულ ტოპონიმიაში. ძველ ქართულში მათგან ნაწარმოებ სადაურობის სახელებში -ის იკარგებოდა: ბირთვ-ის-ი — ბირთვ-ელ-ი, ბოლნ-ის-ი — ბოლნ-ელ-ი, მანგლ-ის-ი — მანგლ-ელ-ი<sup>32</sup>...

მსგავსად -ეთ აფიქსიანი სახელებისა, -ის აფიქსიანებიდან ნაწარმოებ სადაურობის სახელებშიც გვხვდება ჩართული -ენ/-ევ, მაგ.: სამთავ-ნ-ელ-ი, მ-რო-ვ-ელ-ი...

#### ილუსტრაციები:

ბიჯნ-ის-ი — ბიჯნ-ელ-ი: და ბუნით წამოსრულ იყვნეს ლაშქარნი დვიანელნი, ბიჯნ-ელნი და ამბერდელნი (ქ. ც. II, 60,9).

პანკ-ის-ი — პანკ-ელ-ი: კახეთიკა პანკელსა თორღუსა შეედრა (იქვე, 230).

ბირთვ-ის-ი — ბირთვ-ელ-ი: ერთი აღაბი ბირთველისათვის გარდაიქმნებოდა (1414 წ. მცხეთის გუჯარი: ქრ. II, 221).

სამთავ-ის-ი — სამთავ-ელ-ი: მე, იოვანე სამთავნელმან, შეღობისა მათისა აღეაშენე კარიბჭე ესე (1169 წ. სამთავისის ტაძრის ქვაზე ამოჭრილი წარწერა; ქრ. I, 239).

ესე წიგნი მოგვიტო ზუენ, სამთავნელ გბის კჳმან გრავოლ თქვენ.. (1459 წ., ქრ. II, 333).

30 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 134.

31 ა. შანიძე, იქვე, გვ. 115.

32 -ის მეორე აფიქსად დატოვია -ათ აფიქსიან ფუძეს: ქუთ-ათ-ი — ქუთ-ათ-ის-ი. სადაურობის სახელთა წარმოებისას ამ ტოპონიმს -ის სცილდება, -ათ რჩება: ქუთ-ათ-ელ-ი (ორი აფიქსი შეიძლება გვექონდეს აგრეთვე ტოპონიმებში: გველ-თ-ეთ-ი, ღვერ-თ-ეთ-ი...).

რუნი-ი — მრო-ველ-ი: და იყო კათალიკოზად გერმანე და ტფილელად დომენ-  
ტი და მროველად გედუონ (ქ. ცხ., II, 494).  
ლუონტი მროველი.

ტფილ-ის-ი — ტფილ-ელ-ი: ამო ტფილელი... იოსებ ტფილელი...

ნიჩბ-ის-ი — ნიჩბ-ელ-ი: მივეციოთ და მივეუბნენიერეთ სარკისისა წინამძღუარსა აპ  
ნიჩბელი, კობითელი და ვახტანგ ბიერითელი (909—941 წწ. გუჯარი;  
ქრ., I, 88).

ურბნ-ის-ი — ურბნ-ელ-ი: იოსებ ურბნელი მოწამე და დამამტყიცებელი ვარ  
(XIII ს. წიგნება 1190 წ. სიგელზე; ქრ., I, 278).

წორბ-ის-ი — წორბ-ელ-ი: წორბელმან შემოსწორა ზნაუეს გლეზი ბ. და  
მეწანი (XI ს. ნიკორწმინდის სიგელი; ქრ., II, 45).

XVII—XVIII სს. დოკუმენტებშიც უმეტესად ასეთივე (-ის  
ფორმანტის გარეშე) წარმოება გვხვდება, მაგ.:

ბოლნ-ის-ი — ბოლნ-ელ-ი,

თბილ-ის-ი — თბილ-ელ-ი: არის ამის მოწამე და ბატონი თბილელი, ბატონი  
ბოლნელი და ჩაჩიაშვილი ასლამაზ (1654 წ.; დოკ., I, 36).

გიბოძეთ ჩეენ, ბოგნელ (sic) ეფისკოპოზმან პატრიარქმან ნიკოლოზი...  
(1658 წ.; საშ. ძ. III, 585).

მარილ-ის-ი — მარილ-ელ-ი: მარილელეგებმა ეჭუჯაშვილმა, ასათაშვილმა და  
სხვებმა პირობა მისცეს აღავერდელს, რომ აღარ დაუშვებენ რაჯულის გარ-  
დაშვიალ საჭმეს (XVII ს.; მახალ. I, 138).

ბირთვ-ის-ი — ბირთვ-ელ-ი: ბირთველი, ქსნის ერასთავი სახლთუხუცესო  
როინ (1735 წ.; დოკ., 243).

დაიწერა ხელითა მდივანუხუცესისა ბირთველისაითა (1640 წ.;  
საშ. ძ. III, 503).

დმან-ის-ი — დმან-ელ-ი: ამის მოწამე ბოქაულთუხუცესი დავით, ბარათაშვილი  
დმანელი ფილიპე... (1673 წ.; დოკ., 49).

დმანელს ხელი არა ბქონდეს (1672 წ.; ქრ., II, 487).

ამის მოწამე და დამამტყიცებელნი: ბოდბელი ზაქარია, თბილელი დო-  
მენტი, მანგლელი იოსებ... მროველი, წილენელი, ხარტაშენელი პართენი,  
დმანელი ელისე, ბოგნელი ივანე (1702 წ.; საშ. ძ. III, 635).

დაიწერა ხელითა დმანელ ეპისკოპოსისა სააკაის იოსებისითა  
(1595 წ.; ქრ., II, 428).

მანგლ-ის-ი — მანგლ-ელ-ი: წიგნი და სიგელი მოგართვით თქვენ, მანგლელ  
ეპისკოპოს: დოღენჯიშვილს არსენს (1715 წ.; დოკ., 169).

ნიჩბ-ის-ი — ნიჩბ-ელ-ი: ჩვენი მეგვიდრე, წილში ბარათით გამოყოლილი —  
ნიჩბელი ზალაშვილი (1690 წ.; დოკ., 372).

საცხენ-ის-ი — საცხენ-ელ-ი: არის ამის მოწამე... კაცთავან საცხენელი ესო-  
ტა ქართველი (1745 წ.; დოკ., 323).

ურბნ-ის-ი — ურბნ-ელ-ი: მე, ურბნელი დეკანოზი იოსებო, ამისი მოწამე  
(1746 წ.; დოკ., 330).

ყოვლად სამღვდლოც უფალო ურბნელი იუსტინე! (1786 წ.;  
საშ. ძ. II, 500).



ფხვენ-ის-ი — ფხვენ-ელ-ი: ქვემო ნიქოზის ბოლოს მინდვრის მიწა თავი ბრმის  
მაწის მიდგამადინ, ბოლო ფხვენელის კაცის მიწის მიდგამადინ  
(1700 წ.; დოკ., 108).

ქუთათ-ის-ი — ქუთათ-ელ-ი: ქუთათელი კათალიკოზი ჩხეტიძე პატრონი სვი-  
მეონ (1664 წ.; სამ. ძ. 11, 225).

ციხ-ის-ი — ციხ-ელ-ი: მოგვიდეთ ჩვენის ბარათნი ნარგები მკვიდრი ყმა ყანჩაეთს  
გაგაძე განიხარდი, ციხელი გოჩაშვილი თავის ცოლითა, შეილითა  
(1704 წ.; დოკ. 126).

წედ-ის-ი — წედ-ელ-ი: მე აქ გასლავარ და წედელეზს თუ რამ სიტყვა აქვსთ,  
მოგახსენონ (1735—44 წ.; დოკ., 248).

ისე რომ, მე-17—მე-18 საუკუნეებში გაბატონებულა კვლავ -ის  
ფორმანტაურთველი ფუძიდან წარმოება, მაგრამ ამ დროიდან შეი-  
ნიშნება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ახალი სახელისათვის აღე-  
ბულია -ის ფორმანტით გაფორმებული ფუძე. მაგ.: მანგლ-ელ-ის  
გვერდით ჩნდება მანგლ-ის-ელ-ი, მროვ-ელ-ის გვერდით — რუ-ის-  
ელ-ი და სხვ.

ფიქრობენ, რომ ამ ფორმათა გაჩენას ზელი შეუწყო იმის საჭი-  
როებამ, რომ განსხვავებულიყო საეკლესიო ეპარქიის მეთაურისა  
და იმავე გეოგრაფიული პუნქტის მკვიდრთა სახელები: მროველი  
რუისის ეპისკოპოსია, რუისელი — რუისის მკვიდრი, ქუთათელი —  
ქუთათის ეპისკოპოსია, ქუთაისელი — ქუთაისის მკვიდრი და ა. შ.

მაგ:

ჩვენ, შეფთ-მეფემან ქლმწიფემან პატრონმა შანვაიზ ურბნელისა და  
რუისელთა სალაპარაკო საქმე გავიჩყეთ... ურბნელი ნურც ქრთამსა და  
ნურც ძღვენსა ნუ სთხოვს და ნურც რუისელნი დალასა დაუშალებენ (1666 წ.;  
ისტ. ხაზ. IV).

არის ამის მოწამე ჟერ ლმერთი, კაცთაგან ურბნისელი კანდელაი ათა-  
ნასე (1734, დოკ.).

აქ ურბნისელი ურბნისის მცხოვრებს ნიშნავს.

მაგრამ მანგლისელი მანგლელი ეპისკოპოსის აღსანიშნავადაც  
შეგვხვდა:

\*ჩვენ დედოფალთა დედოფალმან პატრონმა მარიამ ესე წყალობისა წიგნი და  
სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ: ... კარისა ჩვენსა ეპისკოპოსსა, ტატი-  
შვილს, მანგლისელს ბატონს ათანასეს (1646, დოკ.).

ამ პერიოდის დოკუმენტებში ასეთი შემთხვევები არც ისე  
ზშირია, მაგრამ შემდეგ ეს პროცესი -ის სუფიქსის ფუძესთან მი-  
შაგრებისა და საწარმოებელ ფუძედ -ის აფიქსით გაფორმებული  
ფუძის გამოყენებისა წინ მიდის და თანამედროვე სალიტერატურო

ქართულში, როგორც წესი, **-ის-**იანი ფორმები გვაქვს: თბილისელი, რუსისელი, ბოლნისელი, ურბნისელი. მაგ.:

ვილაც მოთრულმა მუხათელი, უარცხისელი და ბირთვისელი ბიჭები უნდა დაიბრყვოს (მ. ჯავახ.).

შეძლებულად ცხოვრობენ ძალისელები („საბჭ. ქალი“, 1970, № 2).

მაღე ექნებათ ძალისელებს კომფორტაბელური სასადილო (იქვე).

ასე ვავიციანი სადესანტო ბატალიონის მწვერავი მაზია ჯაიანი — შუმი ქუთაისელი, როგორც თვითონ მითხრა (ჯ. ლორთქ. I, 17).

მაგრამ არაა გამორიცხული **-ის** აფიქსდაურთავი ფორმებიც.

არის რამდენიმე ტოპონიმი, რომელთაგან სასაუბრო ენაში სადაურობის სახელი **-ის** აფიქსდაურთველი ფუძისაგან იწარმოება.

მაგ.: წავკ-ის-ი — წავკ-ელ-ი და წავკ-ურ-ი; კუმ-ის-ი — კუმ-ელ-ი

და კუმ-ურ-ი; ნიჩბ-ის-ი — ნიჩბ-ელ-ი და ნიჩბ-ურ-ი; ქუთა-ის-ი —

ქუთათ-ელ-ი და ქუთათ-ურ-ი... მაგ.: ქუმ-ურ-ი ლეღვი, ურბნ-

ულ-ი ვაშლი, დუშ-ურ-ი მსხალი (ა. შანიძე); მეველე შინდური,

ვირი წავკური (დიალექტ.), შდრ.: მოხის-ურ-ი, წედ-ის-ურ-ი.

სალიტერატურო ქართულშიც გვხვდება მსგავსი ფორმები:

მთელი ის კვირა საძაგელი ამინდი იდგა. ნამდვილი ქუთათური გაუთავებელი თოვლ-კუაბი (ჯ. ლორთქ. I).

უტრნ. „საქართველოს ქალის“ 1970 წ. № 1 გვ. 16 გვხვდება მელვრეკ-ელ-ებ-ი (← მელვრეკ-ის-ი-დან).

ვახტანგი... იქნდა მამულეს. 1677 წ. იყო ზემო ბოლნური მამული (ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1953, გვ. 11).

ამრიგად, სადაურობის სახელთა წარმოებისას ტოპონიმთა მრავალრიცხოვან აფიქსთაგან განსხვავებას გვიჩვენებს **-ეთ** და **-ის** აფიქსები<sup>33</sup>.

**-ეთ** აფიქსს გვერდში უდგას **თ-**ს შემცველი სხვა სუფიქსები: **-ათ**, **-ით**, **-ოთ**, **-უთ**, **-თა**.

სადაურობის სახელთა წარმოებისას ყველა ეს სუფიქსი წარმოდგენილი იყო ამოსავალ ფუძეში, **-ეთ-ი** კი არ ჩანდა. სადაურობის **-ელ** მაწარმოებელი სუფთა ფუძეს ერთვოდა (თიან-ელ-ი, მ-არგვ-ელ-ი, ტბ-ელ-ი...); შემდეგ ენაში თანდათან გაჩნდა ტენდენცია ამ ერთი და იმავე თანხმოვნის შემცველი აფიქსების უნიფიცირებისა

<sup>33</sup> ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა: რატომ მხოლოდ ეს ორი აფიქსი გვიჩვენებს ასეთ გამოწვევას? რა აქვთ მათ საერთო — სხვებისაგან განსხვავებული? ამ საკითხს სხვაგან შევხებით.

და -ეთ-იც სხვა აფიქსთა მსგავსად თანდათან დამაგრდა ფუძესთან — სადაურობის სახელთა საწარმოებლად უკვე -ეთ აფიქსიანი ფუძე გამოიყენება. მე-17 საუკუნის ისტორიულ დოკუმენტებში უკვე გვხვდება: ბერ-ეთ-ელ-ი, კლონ-ეთ-ელ-ი, თელ-ეთ-ელ-ი, კარგარ-ეთ-ელ-ი... მაგრამ გაბატონებული ისევ -ეთ-ის გარეშე წარმოებაა, ნორმას ის წარმოადგენს.

ანალოგიური მდგომარეობაა -ის აფიქსთანაც: გვექნდა ბოლნ-ელ-ი, მანგლ-ელ-ი, თბილ-ელ-ი, ურბნ-ელ-ი... მე-17 საუკუნეში უკვე გამოჩენილა მანგლ-ის-ელ-ი, ურბნ-ის-ელ-ი... შემდეგში აქაც ძლიერდება უნიფიცირების ტენდენცია და ახალ ქართულში უკვე გაბატონებულია -ის აფიქსდართული ფუძიდან წარმოება სადაურობის სახელებისა: ბოლნ-ის-ელ-ი, მანგლის-ელ-ი, ქუთაის-ელ-ი, თბილ-ის-ელ-ი...

ასე რომ, დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ნორმად იქცა -ეთ და -ის აფიქსიანი ფორმები. ასეთი ფორმები ჭარბობს, ბატონობს ენაში. მიუხედავად ამისა, რამდენიმე სახელს დაუცავს ძველი ვითარება და სადაურობის სახელები -ეთ და -ის აფიქსების გარეშე იწარმოება. ასეთებია, მაგალითად:

დუშ-ელ-ი	თიან-ელ-ი	ნავარძ-ელ-ი
ჩოჩ-ელ-ი	დმან-ელ-ი	სიმონ-ელ-ი და სხვ.
წოდორ-ელ-ი	ნიჩბ-ელ-ი	

ეს ფორმები მტკიცედაა ფეხგადგმული სასაუბრო ენაში (განსაკუთრებით თვით ამ სოფლების მკვიდრთა მეტყველებაში), გვხვდება ისინი მხატვრული ლიტერატურის ენაშიც, ეურნალ-გაზეთების ენა კი ცდილობს თანმიმდევრულად მისდიოს უნიფიკაციის პრინციპს და უპირატესად ხმარობს თიანეთელი, კარალეთელი, კაკაბეთელი... ფორმებს.

ენის განვითარების ტენდენცია ამკარაა — ენა ცდილობს გააერთიანოვოს სადაურობის სახელთა წარმოება, ე. ი. -ეთ და -ის აფიქსებიანი სახელები გაუთანაბროს სხვა აფიქსებიან სახელებს.

მიუხედავად ამისა, მანამ, სანამ რამდენიმე სახელი მაინც ძველი წარმოებისა ესოდენ ცოცხალია სასაუბრო ენაში, ამ წარმოების უარყოფა არ შეიძლება. ეს ფორმები დადასტურებულია ძველ ძეგლებში, ჩვენს ეპოქას გადმოეცა როგორც მზამზარეული წარმოება. სასაუბრო ენაში ხშირ ხმარებასთან ერთად მათ ზურგს უმაგრებს ზოგი ლიტერატურული ფაქტიც (კერძოდ, ამ ფორმათა დადასტურება ილიასთან, ვაჟასთან, შ. არაგვისპირელთან და სხვ.).

ამით შეიძლება გვერდით დაფუყენოთ ჯგუფი სადაურობის სახე-  
ლებისა, რომლებიც ნაწარმოებია ქვეყნის, მხარის სახელებისაგან  
(ეთნიკური სახელები): იმერ-ელ-ი, კახ-ელ-ი, ჩინ-ელ-ი, აღმოსავლ-  
ელ-ი, დასავლ-ელ-ი... ამ უკანასკნელთაგან არცერთ სახელს არსად  
არ ერთვის -ეთ (შეუძლებელია იმერ-ეთ-ელ-ი, რუს-ეთ-ელ-ი, კახ-  
ეთ-ელ-ი...), ასეა ეს სალიტერატურო ენაშიცა და სასაუბროშიც.

ყოველივე ამის გამო თანამედროვე ქართული სალიტერატურო  
ენის განვითარების ტენდენციის შესაბამის ფორმად მისაჩნევია ისე-  
თი ფორმები, როცა -ეთ და -ის სუფიქსები შენარჩუნებულია წარ-  
მოებისას. მაგრამ შეუძლებელია სავსებით უარყოფა იმ ფორმები-  
საც, რომლებიც ძველად იყო გაბატონებული სალიტერატურო ენა-  
ში, ალავ-ალავ ცოცხალია დღესაც კილოებში და გვხვდება სალიტე-  
რატურო ენაშიც. ესაა ფორმები, რომლებშიც -ეთ და -ის სუფიქ-  
სები არა ჩანს. ასეთი ფორმები ზოგჯერ ბუნებრივი ჩანს ახალი, უნი-  
ფიცირებული წარმოების გვერდით.

ამგვარ შემთხვევებში ამჟამად ძირითადად გაბატონებულ ფორ-  
მათა გვერდით სალიტერატურო ენაში შეიძლება იხმარებოდეს პა-  
რალელური ფორმები:

დუშ-ეთ-ელ-ი, დუშ-ეთ-ურ-ი და დუშ-ელ-ი, დუშ-ურ-ი  
ბოლნ-ის-ელ-ი, ბოლნ-ის-ურ-ი და ბოლნ-ელ-ი, ბოლნ-ურ-ი  
თიან-ეთ-ელ-ი, თიან-ეთ-ურ-ი და თიან-ელ-ი, თიან-ურ-ი  
კაკაბ-ეთ-ელ-ი, კაკაბ-ეთ-ურ-ი და კაკაბ-ელ-ი, კაკაბ-ურ-ი  
კარალ-ეთ-ელ-ი, კარალ-ეთ-ურ-ი და კარალ-ელ-ი, კარალ-ურ-ი  
წოდორ-ეთ-ელ-ი, წოდორ-ეთ-ულ-ი და წოდორ-ელ-ი, წოდორ-  
-ულ-ი

ურბნ-ის-ელ-ი, ურბნ-ის-ულ-ი და ურბნ-ელ-ი, ურბნ-ულ-ი  
შინდ-ის-ელ-ი, შინდ-ის-ურ-ი და შინდ-ელ-ი, შინდ-ურ-ი  
წავკ-ის-ელ-ი, წავკ-ის-ურ-ი და წავკ-ელ-ი, წავკ-ურ-ი  
ქსოვრ-ის-ელ-ი, ქსოვრ-ის-ულ-ი და ქსოვრ-ელ-ი (გვარი),  
ქსოვრ-ულ-ი

ქიწნ-ის-ელ-ი, ქიწნ-ის-ურ-ი და ქიწნ-ელ-ი, ქიწნ-ურ-ი  
ნიჩბ-ის-ელ-ი, ნიჩბ-ის-ურ-ი და ნიჩბ-ელ-ი, ნიჩბ-ურ-ი  
ქუთა-ის-ელ-ი, ქუთა-ის-ურ-ი და ქუთათ-ელ-ი, ქუთათ-ურ-ი  
ქვიშხ-ეთ-ელ-ი, ქვიშხ-ეთ-ურ-ი და ქვიშხ-ელ-ი, ქვიშხ-ურ-ი  
ტირძნ-ის-ელ-ი, ტირძნ-ის-ურ-ი და ტირძნ-ელ-ი, ტირძნ-ულ-ი

და სხვ.